

## სადაც ჰარმონიას ვეძებთ...

„უმჯობესია, ვერ ხედავდე და გრძნობდე,  
ვიდრე ხედავდე და ვერ გრძნობდე“  
ო. ჭილაძე



ბაკურიანში პოლიტიკური სწავლების სკოლის ყველა სემინარს თავისებური ფიქრები ახლავს: გვიან ხდება ადამიანი, რომ მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი დეაწლი ჰარმონიის ძიებაა – დაუკავშირებლის შეკავშირება, სხვადასხვაობასთან კონფიქტის დაძლევა... არსებობს ფაქტები, არსებობს სენტიმენტები, შესაბამისად, არსებობს სანახავეც და საგრძნობიც. ჩვენს აღზრდაში რატომღაც გონებას ყოველთვის მეტ ადგილს უთმობდნენ, ვიდრე გულს. არადა, ის ბევრად საიმედოდ და ცოცხლად ინახავს ინფორმაციას, ვიდრე გონება. გონებას გადახარშვა, ტრანსფორმირება, მანიპულირება, ლავირება და კიდევ უამრავი ტერმინით ზემოქმედება შეუძლია მის წიაღში არსებულ ინფორმაციაზე. გული კი ისე ინახავს, როგორც ღებულობს,

როგორც ითვისებს. რასაკვირველია, სხვადასხვაობს „გონების ბაკურიანი“ და „გულის ბაკურიანი“. პირველს თავისი გზა აქვს, განვითარების გზა, შეუჩერებლად მიმავალი და რაღაც დასკვნამდე მიმყვანი... გული სხვა ფენომენია, ის ყოველთვის ჰარმონიას ეძებს, რაციონალური სკეპტიციზმის მაძიებელი გონებისგან განსხვავებით. ბაკურიანის სემინარები გულისა და გონების ჰარმონიზაციის საშუალებაა.

სწორედ ამ ფენომენური მიდგომების გამო იწყებ ბაკურიანის აღქმას სითეთრით, მარადმწვანე ბუნებასთან კონტრასტული სითეთრით და აქა-იქ შემორჩენილი შემოდგომის მსუყე სიწითლით... სადაც კონტრასტებს გრძნობ და პოულობ, სწორედ იქ უნდა ეძებო ჰარმონია, თორემ რუსეთი რუსეთია, საქართველო – საქართველო და თუ მათ შორის კონტრასტი არ დაგუშვით, არასდროს დავინტესესებით ჰარმონიის ძიებითაც.

ეს არის პოლიტიკური სკოლა. აქ მთელი სააზროვნო სისტემაც სწორედ ამ კონტრასტებზეა აგებული. ამიტომ არის, რომ როცა გონება მიიმე პოლიტიკურ სანქციებზე იწყებს ფიქრს, მოსკოვის პოლიტიკური სკოლის მსმენელის ვერა პრონკინას აცრემლებული საუბარი გვახსენდება მის ყველაზე კეთილშობილ ბედისწერაზე – საქართველოზე და შეუძლებელია, დიდხანს გასტანოს გულგრილობამ...

როცა გონება ნაციონალური მიზნების გადაჭარბების მავნებლობაზე გაწყებინებს განსჯას, ქართულ სასულიერო მწერლობაზე მოფიქრალი აზერბაიჯანული წარმოშობის ოქტაი ქაზუმოვი გახსენებს თავს...

როცა გგონია, რომ უკიდურესად გაცვდა სიტყვა „აფხაზეთი“, რომ მისი ხსენებისას ერთგვარი რიდი და უხერხულობა იწყვს წინ, შესაძლო თავმოებურებისგან რომ დავიცვათ სხვები, მიიხედავ და შენს გვერდით იმ ადამიანს აღმოაჩენ, რომელიც აფხაზეთში ყოველდღე აუვლის შენს 17 წლის წინ დამწვარ სახლს, დღეს ნასახლარს და რომელიც კარგად იცნობს შენს ხსოვნაში აქა-იქ შემორჩენილ საკუთარ სახელებსა და ტოპონიმებს.

ეს ის გარემოა, სადაც ყველაზე მტკივნეული პოლიტიკური ჰიპოთეზების მოსმენაც არის შესაძლებელი და ყველაზე სასურველი შემოთავაზებისაც...

როცა მასმედიასა და საზოგადოებაში „სიძულვილის ენაზე“ იწყება საუბარი, მალევე უკარგავს მას ძალას ოქროს ფონდის ჩახლქილხმიანი ჩანაწერი: „შენ ჩემო ნიჭო, სრბოლაგ და ფრენავ!“...

როცა გახსენდება რომ „რუსეთი სტიქიაა“, პუშკინის, ბლოკის და ცვეტაევის ლექსების სიფაქიზე გიცავს ამ ხისტი აზრისგან...

ეს ის გარემოა, სადაც თავისებური ჰარმონია აქვს ბუხრის გაღვივებული ნაკვერჩხლის სითბოს, ამ სითბოსთან ქართულ ღვინოს, ოღონდ, რასაკვირველია, შეზღუდული რაოდენობით. ამ ჰარმონიაში თავისი ფუნქცია აქვს თანაბარი მუსიკალური რიტმიკით აღქმულ ქართულ, რუსულ, ფრანგულ, აზერბაიჯანულ ლექსებს, ეთნიკური სილადით უღერად ქართულ სიმღერას, თითოეული ჩვენგანის მოკრძალებულ სათქმელს, ქართველ პოეტთა საპროგრამოდ მიჩნეული ლექსების სადეკლამაციო ვარიაციებს, ამ ვარიაციებში გარეულ სევდასაც და სილადესაც, ეთნიკურ-ტემპერამენტული სხვაობებით გაკვირვებულ უცხოელთა ასე კეთილგანწყობილ მზერას, მაქსიმალურ და, ამავე დროს, ზღუდებარიერიან სილადეს, ზომიერ იუმორს, ბუხრის პასტორალურ სითბოს ბევრად აღმატებულ ადამიანთა სითბოს...

ეს არ არის ამპარტავნების, განკითხვის, ცალცალკეობის გარემო. აქ ბოლომდე ბუნებრივი თუ არ ხარ, ვერ ი თამაშებ, გვერდით მჯდომი არ მოგცემს ამის საშუალებას... ამ გარემოში არავის სწყინს შენიშვნა, რადგან ის საკუთარ შეცდომაზე უსწრაფესი რეაგირების შედეგია. ამ გარემოში უკომპრომისოდ ეკიდებიან ნებისმიერ გადახვევას სალიტერატურო ენის ნორმებიდან და არცთუ მარტივ სანქციებს ექვემდებარება დროსადმი უდიერება. აქ ყველა დამსწრეს თავისი სფერო აქვს, მაგრამ იდეა – ერთი. აქ საოცარ სინანულს განგაცდევინებს, გაცნობამდე რომ არ გყვარებია შენს ირგვლივ მყოფები.

აქ არავის უკვირს, თუ რატომ იღებს ფრანგი დიპლომატი ფოტოს ილიას პორტრეტის წინ...

გასაკვირია, გილხინს თუ გიჭირს, რეგიონში თურქეთია ჰეგემონი თუ რუსეთი, მკაცრია სანქცია თუ არა, მაინც შორს არის შენგან ყოველგვარი იმედგაცრუება და იმედით გავსებს შეგრძნება იმისა, რომ ნებისმიერი კედელი პოტენციური კარია...

თეთრ-მწვანე ბაკურიანის პეიზაჟები და ჭირხლიანი ყინვის შებოჭილობას მარგალიტებად ამსხვრევს უცნაურად მცხუნვარე შუადღე და გრძნობ, როგორ ღღვება სიხისტე შენში და რა ხარისხის ღმობიერება შემოაქვს მზეს.

ეს „გულის ბაკურიანია“, „გონებისას“ თავისი საქმე აქვს – უკომპრომისო ლოგიკის, სწორი პოლიტიკური სვლებისა და სტრატეგიული მოლოდინ(ებ)ისა.

სწორედ ბაკურიანში, გულის და გონების ამ კონტრასტებში ჩვენ ვეძებთ ჰარმონიას, რომელმაც ერთდროულად დანახვაც უნდა გვასწავლოს და შეგრძნებაც, ფაქტებიც და სენტიმენტებიც...

ესმა მანია